# განათლება და მისი მნიშვნელობა

განათლება არის მიზანმიმართული პროცესი, რომელიც არის სოციალური ცვლილებების საწყისი.

**მიზნები:**

- ცოდნის მიღება
- უნარების განვითარება
- პიროვნული განვითარება
- საზოგადოებაში ინტეგრაცია
- ეკონომიკური შესაძლებლობები

## *განათლება, როგორც კონსტიტუციური უფლება*

**საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი: ,,ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება''**

ძირითადი პრინციპები:

- თანასწორობა
- ხელმისაწვდომობა
- საყოველთაობა
- დემოკრატიულობა

# ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც აღიარებენ განათლების უფლებას:

- **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია —აქტი, რომელიც მიღებულია 1948 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ**
  - საქართველო არის ამ დეკლარაციის მხარდამჭერი და აღიარებული ქვეყანა
- **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია"**
  - საქართველო არის კონვენციის სრულუფლებიანი წევრი

# კანონის წინაშე თანასწორობა

კანონის წინაშე თანასწორობის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შეფასებისთვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს განამტკიცებს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს იმის გარანტიას, რომ მიუხედავად რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა, მას მოეპყრობიან თანასწორად.

# დისკრიმინაცია - უთანასწორო მოპყრობა

- **პირდაპირი** - რომელიმე ნიშნის გამო პირის მიმართ ხორციელდება არათანაბარი მოპყრობა სხვა პირთან შედარებით, რომელიც იმავე ან მსგავს მდგომარეობაში არის, იყო ან შეიძლება ყოფილიყო უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ობიექტი.

- **ირიბი** - როდესაც ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, რომელიმე ნიშნის გამო პირს სხვა პირთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, გარდა იმ შემთხვევის, როდესაც ასეთი დებულება ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით.

თომას ჰობსი ლევიათანში წერს: *"ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მხრივ ,რომ თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება სხვაზე აშკარად ღონიერი ან გონებაგახსნილი იყოს, საბოლოოდ ინდივიდები მაინც იმდენად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ვინმემ თქვას, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნებაო".*

თანასწორობისადმი ასეთი მიდგომა ამოსავალი წერტილია განათლებასთან მიმართებით წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად, რადგან განათლება ყველას თანაბრად ეკუთვნის ,მიუხედავად ინდივიდების ფსიქოსოციალური საჭიროებისა და ინკლუზიური სტატუსისა.

# სახელმწიფოს როლი განათლებაზე

## ბავშვთა უფლებათა კოდექსის მე-7 მუხლი:

,,სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს ნებისმიერი სახის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.''

,,სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, მათ შორის, გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვით.''

,,სახელმწიფო ახორციელებს ბავშვის უთანასწორო მოპყრობისგან დასაცავად, მათ შორის, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის დისკრიმინაციისგან, სტიგმისა და გარიყვისგან დასაცავად, საჭირო ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებას.''

ასაკი
38 პასუხი




ინფორმირებული ხართ თუ არა ბავშვთა უფლებებზე?
38 პასუხი




რამდენად ხშირად შესწრებიხართ განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ადამიანის მიმართ ჩაგვრას, დაცინვას, გარიყვას?
38 პასუხი




თქვენი აზრით, რომელი ფაქტორი უფრო პრობლემურია ინკლუზიური პირების თანასწორი განვითარების შესაძლებლობაში ?
38 პასუხი



არსებობს თუ არა ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ადამიანს განვითარებაში?
38 პასუხი




რამდენად ინტეგრირებულნი არიან განსხვავებული შესაძლებლობის პირები სოციუმში?
38 პასუხი




თქვენი აზრით, სახელმწიფო უწყობს თუ არა ხელს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს განვითარებაში?
38 პასუხი




თქვენი აზრით, განათლების სფეროს წარმომადგენლები რამდენად პრაქტიკულ მხარდაჭერას იჩენენ ინკლუზიური პირების მიმართ?
38 პასუხი



# მთავარი გზავნილი

- განათლება ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობებით

თანასწორობა განათლებაში არ არის უბრალოდ იდეა, ეს არის მოქმედება, რომელიც იწყება თითოეული ჩვენგანიდან, მხოლოდ მაშინ, როცა ყველას მივცემთ შანსს განვითარდეს და შევქმნით საზოგადოებას, სადაც ყველა ადამიანს ექნება მომავლის აშენების შესაძლებლობა.

ავტორი: სემანდა ფუტკარაძე